



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ სასამართლოს HUDOC მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the Court's database HUDOC.

ოლივეირა შვეიცარიის წინააღმდეგ

(84/1997/868/1080)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

30 ივლისი 1998

საქმეში ოლივეირა შვეიცარიის წინააღმდეგ¹,

ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს პალატამ, შეიკრიბა რა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 43-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის² (ინგლ. Rules of Court B) შესაბამისი დებულებების თანახმად, შემდეგი შემადგენლობით:

ბ-ნი რ. ბერნჰარდტი, თავმჯდომარე,

ბ-ნი ფ. გიოლქიუქლუ,

ბ-ნი ა. ნ. ლუაზუ,

ბ-ნი ლ. უილდჰაბერი,

ბ-ნი ბ. რეპიკი,

ბ-ნი პ. კურისი,

ბ-ნი ე. ლევიტსი,

ბ-ნი პ. ვან დიჯკი,

ბ-ნი მ. ვუასუ

და ასევე ბ-ნი ჰ. პეტზოლდი, მდივანი, და ბ-ნი პ. ჯ. მაჰონი, მდივნის მოადგილე, მოითათბირა 1998 წლის 20 აპრილსა და 22 ივნისს და ამ უკანასკნელ დღეს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმე გადაეცა სასამართლოს პორტუგალიელი მოქალაქის ქ-ნი მარია სელესტე ვიეირა ველოსო დე ოლივეირასა (შემდგომში „განმცხადებელი“) და ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის (შემდგომში „კომისია“) მიერ, 1997 წლის 25 აგვისტოსა და 1997 წლის 22 სექტემბერს, კონვენციის 32.1 და 47-ე მუხლებით განსაზღვრულ სამთვიან ვადაში. მას საფუძვლად დაედო კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად 1994 წლის 22 ოქტომბერს შვეიცარიის კონფედერაციის წინააღმდეგ კომისიაში შეტანილი განაცხადი (no. 25711/94).

¹ სამდივნოს შენიშვნა: საქმის ნომერია 84/1997/868/1080. პირველი რიცხვი აღნიშნავს შესაბამის წლის განმავლობაში (მეორე რიცხვი) საქმის რიგით ნომერს საქმეთა ნუსხაში. მესამე და მეოთხე რიცხვები შეესაბამება საქმის ადგილს სასამართლოს დაარსებიდან მისთვის გადაცემულ საქმეთა ნუსხაში და კომისიისათვის მისი წარმოშობის დროიდან წარდგენილ განაცხადთა სიაში.

² სასამართლოს რეგლამენტი, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 2 ოქტომბერს და ვრცელდება ყველა საქმეზე, თუკი შესაბამის სახელმწიფოსთან მიმართებით ძალაშია მე-9 ოქმი.

კომისიის მოთხოვნა უკავშირდებოდა მე-9 ოქმის საფუძველზე 44-ე და 48-ე მუხლებში შეტანილ შესწორებებს, კერძოდ, შვეიცარიის განცხადებას, რომლის მიხედვითაც იგი აღიარებდა სასამართლოს სავალდებულო იურისდიქციას. ქ-ნი ოლივეირას განაცხადი სასამართლოსადმი შეესაბამებოდა კონვენციის 48-ე მუხლს. საჩივრისა და მოთხოვნის მიზანი იყო, მიღებული ყოფილიყო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, გამომდინარეობდა თუ არა საქმის გარემოებებიდან მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა.

2. რეგლამენტის 35.3 („დ“) მუხლის შესაბამისად გაკეთებული მოთხოვნის საპასუხოდ, განმცხადებელმა თავის წარმომადგენლად დანიშნა ადვოკატი ბ-ნი ა. ფონ ალბერტინი (31-ე მუხლი). პალატის თავმჯდომარემ მას უფლება მისცა გამოეყენებინა გერმანული ენა (28.3 მუხლი). მას შემდეგ, რაც თავდაპირველად კომისიის წინაშე წარდგა როგორც - ს. მ. ლ. ო. (ინიციალებით), განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა მისი სრული სახელის გამჟღავნებაზე.

3. პალატაში, რომელიც უნდა შემდგარიყო, შედიოდნენ *ex officio* ბ-ნი ლ. უილდჰაბერი, შვეიცარიის მოქალაქე, არჩეული მოსამართლე (კონვენციის 43-ე მუხლი) და ბ-ნი რ. ბერნჰარდტი, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე (რეგლამენტის მუხლი 21.4 („ბ“)). 1997 წლის 25 სექტემბერს მდივნის თანდასწრებით სასამართლოს თავმჯდომარემ ბ-ნმა რ. რისდალმა წილისყრით დაასახელა პალატის დანარჩენი შვიდი წევრი, კონკრეტულად: ბ-ნი ფ. გიოლქიუქლუ, ბ-ნი ა. ნ. ლუაზუ, ბ-ნი ბ. რეპიკი, ბ-ნი პ. კურისი, ბ-ნი ე. ლევიტსი, ბ-ნი პ. ვან დიჯკი და ბ-ნი მ. ვუასუ (კონვენციის 43-ე მუხლი *in fine* და რეგლამენტის მუხლი 21.5).

4. პალატის თავმჯდომარე (რეგლამენტის მუხლი 21.6) ბ-ნი რ. ბერნჰარდტი, რომელსაც დახმარებას უწევდა მდივანი, პროცესის ორგანიზაციულ საკითხებზე მოელაპარაკა ბ-ნ პ. ბუალატს, შვეიცარიის მთავრობის წარმომადგენელს (შემდგომში „მთავრობა“), განმცხადებლის ადვოკატსა და ბ-ნ ე. ა. ალკემას - კომისიის დელეგატს (რეგლამენტის 39.1 და მე-40 მუხლები). ამის შედეგად გაცემული განკარგულების შესასრულებლად მდივანმა განმცხადებლისა და მთავრობისაგან 1998 წლის 23 თებერვალსა და 30 მარტს მიიღო ფაქტების აღწერილობა. 17 აპრილს კომისიის დელეგატმა წარმოადგინა წერილობითი მიმართვები.

5. 1998 წლის 27 თებერვალს პალატამ გადაწყვიტა არ გამართულიყო ზეპირი მოსმენა, დარწმუნდა რა იმაში, რომ არსებობდა ჩვეული პრაქტიკიდან გადახვევის წინაპირობები (რეგლამენტის 27-ე და მე-40 მუხლები).

ფაქტების თაობაზე

I. საქმის გარემოებები

6. პორტუგალიის მოქალაქე, ქ-ნი ოლივეირა, დაიბადა 1967 წელს და ამჟამად ცხოვრობს ციურხში (შვეიცარია).

7. 1990 წლის 15 დეკემბერს ციურხში თოვლით და ყინულით დაფარულ გზაზე მანქანით მოძრაობისას მისი ავტომობილი გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს, სადაც დაარტყა ერთ-ერთ მანქანას, ხოლო შემდეგ დაეჯახა მეორე ავტომობილს, რომლის მძღოლიც იყო M და რომელმაც შედეგად მიიღო სერიოზული დაზიანებები.

8. 1991 წლის 19 მარტს ციურხის პოლიციის მაგისტრატის სამსახურმა (*Polizeirichteramt*) მასალები გაუგზავნა საოლქო პროკურორის ოფისს (*Bezirksanwaltschaft*) შემდგომი გამოძიებისათვის - კერძოდ, ხომ არ ჰქონდა განმცხადებელს ჩადენილი გაუფრთხილებლობით სხეულის სერიოზული დაზიანება, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (იხ. პარაგრაფი 16 ქვემოთ).

9. 1991 წლის 5 აპრილს ციურხის ოლქის ოფისმა (*Statthalteramt*) მასალები გაუგზავნა საოლქო პროკურორის ოფისს შემდგომი გამოძიებისათვის - კერძოდ, ხომ არ იყო ჩადენილი საგზაო მოძრაობის შესახებ ფედერალური კანონით გათვალისწინებული რომელიმე დარღვევა (იხ. პარაგრაფი 17 ქვემოთ).

10. 1991 წლის 3 ივნისს საოლქო პროკურორის ოფისმა ავტოსაგზაო შემთხვევისას დაშავებულ ერთ-ერთ მხარესთან დაკავშირებული საქმის მასალები დაუბრუნა პოლიციის მაგისტრატი სასამართლოს ოფისს (*police magistrate's office*). მასალები შეიცავდა სამედიცინო მოწმობას, რომლითაც დასტურდებოდა, რომ დაზიანებები იყო სერიოზული ხასიათის. 1991 წლის 12 აგვისტოს პოლიციის მაგისტრატმა სასამართლომ დაასკვნა, რომ დაშავებულ მხარესთან მიმართებით არ არსებობდა საქმის წარმოების დაწყების საფუძველი (*Einstellungs-Verfügung*). 1991 წლის 13 აგვისტოს მან განმცხადებელს პასუხისმგებლობა დააკისრა საგზაო მოძრაობის შესახებ ფედერალური კანონის 31-და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენისათვის, რაც გულისხმობდა სატრანსპორტო საშუალების მართვაზე კონტროლის დაკარგვას, ვინაიდან აპლიკანტმა არ მოიყვანა სიჩქარე საგზაო მოძრაობის პირობებთან შესაბამისობაში (*Nichtbeherrschen des Fahrzeuges infolge Nichtanpassens der Geschwindigkeit an die Strassenverhältnisse*) და დააჯარიმა იგი 200 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით. კერძოდ, პოლიციის მაგისტრატმა დაადგინა, რომ 1990 წლის 15 დეკემბერს გზა დაფარული იყო ყინულითა და თოვლით, რა დროსაც განმცხადებლის მანქანა გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს და დაარტყა ერთ-ერთ ავტომობილს, ვიდრე მეორესაც შეეჯახებოდა.

11. 1993 წლის 25 იანვარს საოლქო პროკურორის ოფისმა გამოსცა სისხლისსამართლებრივი განკარგულება (*Strafbefehl*), რომლითაც ქ-ნი ოლივეირა დააჯარიმა 2,000 შვეიცარიული ფრანკით სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებისათვის შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის შესაბამისად, M-ისათვის მიყენებული დაზიანებების

გამო, რაც გამოწვეული იყო მისი და განმცხადებლის სატრანსპორტო საშუალებების შეჯახებით.

12. განმცხადებელმა ეს განკარგულება გაასაჩივრა ციურიხის ოლქის სასამართლოში (*Bezirksgericht*), რომელმაც 1993 წლის 11 მარტს შეამცირა დანიშნული ჯარიმა 1,500 ფრანკამდე. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა:

„პოლიციის მაგისტრატი, რომელმაც დააკისრა განმცხადებელს მის მიერ ხსენებული ჯარიმა (*Busenverfügung*), ვალდებული იყო გამოეკვლია ვითარება წვრილმან სისხლისსამართლებრივ დარღვევასთან დაკავშირებული წარმოების კონტექსტში, ვინაიდან, *non bis in idem* პრინციპის მოქმედების გამო, ეჭვს გარეშეა, რომ დაუშვებლად მიიჩნევა შემდგომი დევნა წვრილმან დანაშაულზე ერთი და იმავე შემთხვევაზე დაყრდნობით. თუმცა, ის ფაქტი, რომ გამოძიება აღნიშნული წარმოების ფარგლებში არის შემაჯამებელი და შეზღუდული თავისი ფარგლებით, მიანიშნებს, რომ დამნაშავეები, რომელთაც დაეკისრათ მხოლოდ ჯარიმა, შეიძლება გახდნენ დევნის ობიექტები იმავე ქმედებიდან გამომდინარე სხვა სერიოზული დანაშაულისათვის ან მნიშვნელოვანი დარღვევისათვის, თუ უფრო სრულყოფილი გამოძიების ჩატარება საჭირო გახდება სამართლებრივი თუ ფაქტობრივი მოსაზრებების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევებში თავდაპირველი გადაწყვეტილება და დანიშნული სასჯელი გაუქმდება.“

სასამართლომ გააუქმა 1991 წლის 13 აგვისტოს დაკისრებული 200-ფრანკიანი ჯარიმა და თქვა, რომ ნებისმიერი ნაწილი ჯარიმის თანხიდან, რომელიც გადახდილ იქნა, გაიქვითებოდა მის მიერ დაკისრებული ჯარიმიდან. შესაბამისად, ეს უკანასკნელი შემცირდა 1,300 ფრანკამდე.

13. გადაწყვეტილება განმცხადებელმა გაასაჩივრა ციურიხის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 1993 წლის 7 ოქტომბერს უარყო საჩივარი და დაადგინა, *inter alia*:

„აუცილებელია, გაანალიზებულ იქნეს თუ რა დასკვნების გამოტანა შესაძლებელი პოლიციის მაგისტრატის შეცდომიდან აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. ამკარაა, რომ თავის გადაწყვეტილებაში 1991 წლის 13 აგვისტოს მან იმსჯელა განმცხადებლის მხრიდან მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების მართვის წესის დარღვევის შესახებ, მაგრამ არა - ამის შედეგად მსხვერპლისათვის მიყენებულ ფიზიკურ დაზიანებებზე... თუმცა, იმის განსასაზღვრად, დაირღვა თუ არა საგზაო კოდექსი, პოლიციის მაგისტრატს გააჩნდა უფლებაც და მოვალეობაც განეხილა მის წინაშე არსებული ყველა ფაქტი და გაეცა მათზე ამომწურავი პასუხი სისხლის სამართლის ფარგლებში; მის მიერ საქმის გადაუგზავნელობა - თუმცა, შესაძლოა, სერიოზული დაზიანებები იქნა მიყენებული გაუფრთხილებელი ქმედებით - აუცილებლად არ მიანიშნებს, რომ პოლიციის მაგისტრატის გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონეა; გადაწყვეტილება ძალაში რჩება. არც საქმის მასალებიდან ჩანს და მითითებულაც არ ყოფილა, რომ ხსენებული გადაწყვეტილება შეიცავს სერიოზულ ხარვეზებს, რაც ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელს გახდიდა შედეგად მის მთლიან გაუქმებას.“

შედეგად, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გადაწყვეტილება, 200 ფრანკი გაქვითულიყო 1500 ფრანკიდან და მიიჩნია, რომ განმცხადებელი არ უნდა დასჯილიყო იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე ეს იქნებოდა, თუკი, ორივე დარღვევა ერთი წარმოების

ფარგლებში თუ იქნებოდა განხილული.

14. ქ-ნმა ოლივეირამ გაასაჩივრა გადაწყვეტილება ციურიხის კანტონის საკასაციო სასამართლოსა (*Kassationsgericht*) და ფედერალურ სასამართლოში და მოითხოვა მისი გაუქმება (*Nichtigkeitsbeschwerden*) 1994 წლის 27 აპრილს საკასაციო სასამართლომ უარი თქვა საჩივრის განხილვაზე.

15. აღნიშნულის შემდეგ განმცხადებელმა გადაწყვეტილების წინააღმდეგ წარადგინა საჯარო სამართლის საჩივარი ფედერალურ სასამართლოში.

1994 წლის 17 აგვისტოს ფედერალურმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო როგორც განმცხადებლის საჯარო სამართლის საჩივარი, ისე მისი საჩივარი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნაზე. როგორც თავის საბოლოო გადაწყვეტილებაში ფედერალურმა სასამართლომ მიუთითა, უნდა დაშვებულიყო ვარაუდი იმის თაობაზე, რომ როდესაც 1991 წლის 13 აგვისტოს პოლიციის მაგისტრატმა ქ-ნ ოლივეირას ჯარიმა დააკისრა, მან არ იცოდა M-ისათვის მიყენებული სერიოზული დაზიანებების შესახებ; სხვა შემთხვევაში მას არავითარი უფლებამოსილება ექნებოდა, დაეკისრებინა ჯარიმა და მოუწევდა საქმის მსალების სალქო პროკურორის ოფისისთვის დაბრუნება. ფედერალურმა სასამართლომ აღნიშნა, რომ, ამის მიუხედავად, ოლქის სასამართლომ თავიდან აიცილა შედეგი, ორჯერ ერთი და იმავე დარღვევისათვის დაესაჯა დარღვევის ჩამდენი, როდესაც „ახალი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას“ (*bei der Bemessung der neuen Busse*) მხედველობაში მიიღო პოლიციის მაგისტრატის მიერ დაკისრებული 200-ფრანკიანი ჯარიმა.

II. შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი

16. შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად:

“1. ყველა, ვინც გაუფრთხილებლობით დააზიანებს სხვის ფიზიკურ ხელშეუხებლობას ან ჯანმრთელობას, საჩივრის შემთხვევაში, პასუხს აგებს თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით

2. თუ დაზიანება სერიოზულია, დამრღვევის წინააღმდეგ დევნა შეიძლება დაიწყოს საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც.”

17. საგზაო მოძრაობის შესახებ ფედერალური კანონის 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტი უთითებს, *inter alia*, რომ მძღოლებს მუდმივად კონტროლის ქვეშ უნდა ჰყავდეთ თავიანთი სატრანსპორტო საშუალება, რათა არ დაარღვიონ სატრანსპორტო საშუალების ყურადღებიანი მართვის ვალდებულება. 32-ე მუხლის მიხედვით მძღოლებმა სატრანსპორტო საშუალების მართვისას სიჩქარე უნდა შეუსაბამონ გარკვეულ პირობებს.

საქმის წარმოება კომისიაში

18. ქ-ნმა ოლივიერამ კომისიას მიმართა 1994 წლის 22 ოქტომბერს. ის დაობდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევის გამო. 19.

კომისიამ განაცხადი (no. 25711/94) დასაშვებად ცნო 1997 წლის 13 იანვარს. თავის ანგარიშში 1997 წლის 1-ლ ივლისს მან გამოთქვა აზრი, რომ დაირღვა მითითებული ნორმა (ოცდაოთხი ხმით რვის წინააღმდეგ). კომისიის დასკვნისა და ანგარიშში შესული ორი განსხვავებული აზრის სრული ტექსტი ასლის სახით დართულია აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე.³

საბოლოო მიმართვები სასამართლოსადმი

20. თავის მემორანდუმში მთავრობამ მოუწოდა სასამართლოს დაედგინა, რომ მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას.

21. თავის მემორანდუმში განმცხადებელმა მოსთხოვა სასამართლოს:

„1. დაესკვნა, რომ შვეიცარიის კონფედერაციის სუვერენული ხელისუფლების სახელით სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში ციურიხის ოლქის მოსამართლის, სააპელაციო სასამართლოს, ციურიხის კანტონის საკასაციო სასამართლოსა და შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს მიერ გამოტანილმა გადაწყვეტილებებმა დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებები, კონკრეტულად, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციის მე-7 ოქმი, რითაც ზიანი მიადგა განმცხადებელს. შესაბამისად, მოპასუხე მთავრობამ ვერ შეასრულა კონვენციის აღნიშნული დებულებები.

2. დაევალებინა მოპასუხე მთავრობისათვის, კონვენციის 50-ე მუხლისა და რეგლამენტის 52.1 მუხლის შესაბამისად, სამართლიანი დაკმაყოფილების სახით განმცხადებლისათვის გადაეხადა 60,340 შვეიცარიული ფრანკის ოდენობის თანხა.“

სამართლის თაობაზე

მე-7 ოქმის მე-4 მუხლის სავარაუდო დარღვევა

22. განმცხადებლის მომართვის თანახმად, ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე შემთხვევა საფუძვლად დაედო მის მსჯავრდებას თავდაპირველად სატრანსპორტო საშუალების მართვის წესის დარღვევის გამო და შემდეგ სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებისათვის, არღვევდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლის, რომლის თანახმად:

„1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელშეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.

³სამდივნოს შენიშვნა. პრაქტიკული მიზნებისათვის ეს დანართი ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ გადაწყვეტილების ნაბეჭდ ვერსიასთან ერთად (გადაწყვეტილებებისა და განჩინებების 1998 წლის ანგარიშში), კომისიის ანგარიშის ასლის მოპოვება ასევე შესაძლებელია სამდივნოდან.

2. წინა პუნქტის დებულებები ხელს არ უშლის საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტების მტკიცებულება, ან, თუ წინა სამართალწარმოება განცოროციელდა არსებითი ხარვეზით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

3. დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ მუხლიდან გადახვევა.“

თავის 1993 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლომ შენიშნა, რომ პოლიციის მაგისტრატი ინფორმირებული იყო ინციდენტის მსხვერპლისათვის მიყენებული სერიოზული დაზიანებების თაობაზე, რაზედაც მას არ გააჩნდა იურისდიქცია. მიუხედავად ამისა, მან ისე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ საქმის მასალები საოლქო პროკურორის ოფისისთვის არ დაუბრუნებია. შესაბამისად, პოლიციის მაგისტრატმა საქმე გადაწყვიტა რელევანტური ფაქტების სრული ცოდნით და აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელობა არ ჰქონდა, რატომ არჩია მან, არ დაეკისრებინა უფრო მკაცრი სასჯელი განმცხადებლისათვის. თუნდაც რომ შემცდარიყო ფაქტების მისეულ შეფასებასა და მოთხოვნილ სასჯელში, მიუღებელი იყო განმცხადებელს ეწვინა ერთი და იმავე შემთხვევისათვის ორჯერ მსჯავრდების შედეგები. არც პოლიციის მაგისტრატის გადაწყვეტილება, ან მის მიერ დაკისრებული ჯარიმა ზემდგომი სასამართლოების მიერ არ გაუქმებულა, რომელთაც ასევე დააკისრეს განმცხადებელს სასჯელი. მოკლედ, დარღვეულ იქნა *non bis in idem* პრინციპი.

23. მთავრობის მითითებით, შეზღუდვა, რომელიც გამომდინარეობდა მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლით დადგენილი ფორმულირებიდან, არ უნდა გაგებულიყო იმგვარად, რომ გამოერიცხა ყოველგვარი შესაძლებლობა, ერთი და იგივე ფაქტები განხილულიყო ორი დამოუკიდებელი წარმოების ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საქმე სამი ასპექტით განსხვავდებოდა საქმისაგან „გრადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ“ (*Gradinger v. Austria*) (იხ. 1995 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, Series A no. 328-C): 1. არ არსებობდა შეუსაბამობა ხელისუფლების ორი რელევანტური ორგანოს მხრიდან ფაქტების შეფასებაში; 2. ვინაიდან პირველი კომპეტენტური ორგანოს (პოლიციის მაგისტრატის) იურისდიქცია შეზღუდული იყო, იგი ვერ განიხილავდა დამრღვევი ქმედების ყველა ასპექტს; 3. ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამართალწარმოებებს საბოლოოდ არახელსაყრელ მდგომარეობაში განმცხადებელი არ ჩაუყენებია. შვეიცარიის

კანონმდებლობის თანახმად, პოლიციის მაგისტრატის იურისდიქცია არ ვრცელდებოდა სერიოზულ დანაშაულებზე, რომლებიც ოლქის რწმუნებულის სამსახურისა და სალქო პროკურორის ოფისის პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნებოდა. *non bis in idem*-ის პრინციპი არ შეიძლება იყოს გამოყენებული იმ საქმეში, რომელზედაც პოლიციის მაგისტრატს არა აქვს იურიდიქცია. ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ამისა, მან მაინც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, დიდი ალბათობით, იყო გაუგებრობის შედეგი მასსა და საოლქო პროკურორს შორის, ვინაიდან, როდესაც ამ უკანასკნელმა საქმის მასალები გადაუგზავნა

მაგისტრატს დაშავებული პირის შესაძლო დევნის თაობაზე, პოლიციის მაგისტრატმა მიიჩნია, რომ ეს მასალები უკავშირდებოდა განმცხადებელს. ნებისმიერ შემთხვევაში, ქ-ნ ოლივეირას ზიანი არ მიჰყენებია მაგისტრატის გადაწყვეტილებით, რადგანაც პირველად დაკისრებული ჯარიმის თანხა მეორე ჯარიმიდან იქნა გაქვითული. გარდა ამისა, არც განმცხადებლის მხრიდან არ იქნებოდა მართებული *non bis in idem* პრინციპის სახელით ესარგებლა დაშვებული პროცედურული შეცდომისაგან.

24. ზემოთ ციტირებულ გრადინგერის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, კომისიამ არსებითად გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტი. მისი შენიშვნით, ქ-ნი ოლივეირას ორივე მსჯავრდების საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ მისი ავტომობილი გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს, სადაც დაარტყა ერთ-ერთ მანქანას, ხოლო შემდეგ შეასკდა მეორე ავტომობილს, რომლის მძღოლმაც სერიოზული დაზიანებები მიიღო. ეს დაზიანებები შეადგენდა არა დამოუკიდებელ ელემენტს, არამედ ერთ მთლიან ნაწილს და იმ ქმედებისა, რომელმაც ისინი გამოიწვია. გარდა ამისა, ბრალდებულს მხოლოდ იმ მიზეზით არ უნდა წართმეოდა საქმის წარმოების განახლებისგან დაცვის უფლება, რომ მისი მსჯავრდება პროცედურულ ხარვეზს ეფუძნებოდა.

25. სასამართლო შენიშნავს, რომ ხსენებული მსჯავრდებები შეეხებოდა განმცხადებლის მიერ 1990 წლის 15 დეკემბერს გამოწვეულ ავტოსაგზაო შემთხვევას. თოვლითა და ყინულით დაფარულ გზაზე მანქანით მოძრაობისას მისი ავტომობილი გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს, სადაც დაარტყა ერთ-ერთ მანქანას, შემდეგ კი შეეჯახა მეორე ავტომობილს, რომლის მძღოლმაც სერიოზული დაზიანებები მიიღო. თავდაპირველად ქ-ნი ოლივეირა პოლიციის მაგისტრატის განკარგულებით დაჯარიმდა 200 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით სატრანსპორტო საშუალების მართვის წესის დარღვევისათვის, რადგანაც მან სიჩქარე საგზაო პირობებთან შესაბამისობაში არ მოიყვანა (იხ. პარაგრაფი 10 ზემოთ). ამის შემდეგ ციურიხის ოლქის სასამართლომ და მოგვიანებით ციურიხის სააპელაციო სასამართლომ განმცხადებელს დააკისრა 1,500 ფრანკის ოდენობით ჯარიმა (რომლიდანაც, მიუხედავად ამისა, გაიქვითა წინა ჯარიმით დაკისრებული თანხა) გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანებისათვის (იხ. პარაგრაფები 11-12 ზემოთ).

26. აღნიშნული წარმოადგენს ტიპურ მაგალითს, როდესაც ერთი ქმედებით ფუძნდება განსხვავებული დანაშაულები (*concoure idéal d'infractions*). აღნიშნულის მახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ ერთი კრიმინალური ქმედება გაყოფილია ორ დამოუკიდებელ სამართალდარღვევად, ამ შემთხვევაში - სატრანსპორტო საშუალების მართვის წესის დარღვევად და სხეულის გაუფრთხილებლობით დაზიანებად. მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი, უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს უფრო მსუბუქს.

ასეთ ვითარებაში არაფერი არ არღვევს მე-7 პროტოკოლის მე-4 მუხლს, ვინაიდან აღნიშნული ნორმით იკრძალება ადამიანთა ორჯერ გასამართლება ერთი და იმავე დანაშაულისათვის, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ცალკეული ქმედება წარმოშობს

სხვადასხვა დანაშაულს (*concoure idéal d'infractions*), ერთი კრიმინალური ქმედებით იქმნება ორი დამოუკიდებელი დანაშაული.

28. ცხადია, ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპთან უფრო შესაბამისი იქნებოდა, თუკი ერთი და იმავე კრიმინალური ქმედებიდან გამომდინარე ორივე დარღვევისათვის სასჯელს ერთი და იგივე სასამართლო განსაზღვრავდა ერთიანი საქმის წარმოების ფარგლებში. მართლაც, როგორც ჩანს, სწორედ ასე უნდა მომხდარიყო წინამდებარე შემთხვევაში, ვინაიდან იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაზარალებული მხარისათვის მიყენებული სერიოზული დაზიანებების გამოძიება პოლიციის მაგისტრატს უფლებამოსილებას არ მიეკუთვნებოდა, მას საქმის მასალები სალქო პროკურორისთვის უნდა გადაეგზავნა ორივე დარღვევაზე ერთობლივი გადაწყვეტილების გამოსატანად (იხ. პარაგრაფი 10 ზემოთ). თუმცა, ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროცედურა დაცული არ იქნა ქ-ნი ოლივეირას საქმეში, ირელევანტურია მე-7 ოქმის მე-4 მუხლთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რადგან ეს ნორმა არ გამორიცხავს სხვადასხვა სასამართლოების მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებელი დანაშაულებისათვის პირის გასამართლებას, თუნდაც ყველა ეს დარღვევა ერთი კრიმინალური ქმედებიდან გამომდინარეობდეს, განსაკუთრებით მაშინ, როცა, წინამდებარე საქმის მსგავსად, დანიშნული სასჯელების შეკრება არ მომხდარა და უფრო მკაცრმა შთანთქა უფრო მსუბუქი.

29. შესაბამისად, აღნიშნული საქმე განსხვავდება ზემოთ ციტირებული Gradinger-ის საქმისგან, რომელშიც ორმა სხვადასხვა სასამართლომ ურთიერთშეუსაბამო დასკვნები გამოიტანა განმცხადებლის სისხლში ალკოჰოლის შემცველობის დონესთან დაკავშირებით.

30. შედეგად, წინამდებარე საქმეში არ დარღვეულა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი.

აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო

ასკვნის რვა ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ არ დარღვეულა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი.

შერუებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. გადაწყვეტილება გამოცხადდა საჯაროდ, ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში, 1998 წლის 30 ივლისს.

ხელმომწერი: რუდოლფ ბერნჰარდტი

თავმჯდომარე

ხელმომწერი: ჰერბერტ პეტზოლდი

მდივანი

კონვენციის 51.2 და რეგლამენტის 55.2 მუხლების შესაბამისად, გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე ბ-ნი რეპიკის განსხვავებული აზრი.

ინიციალები: რ. ბ.

ინიციალები: ჰ. ჰ.

მოსამართლე რეპიკის განსხვავებული აზრი

(თარგმანი)

სამწუხაროდ, ვერ გავიზიარებ მოსამართლეთა უმრავლესობის იმ მსჯელობას, რომელმაც ისინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ არ დარღვეულა მე-7 ოქმის მე-4 მუხლი. დანაშაულის ტიპის იგივეობისა და მისგან გამომდინარე შედეგების განსაზღვრის საკითხი დიდი დისკუსიის საგანია სამართლის თეორიაში (*res judicata, non bis in idem*). რომელია გადამწყვეტი - იდენტურობა *actus reus*-ისა თუ იურიდიული კვალიფიკაციისა? თუკი ერთი და იგივე *actus reus* არის გადაწყვეტი, მისი რომელი ელემენტები უნდა იყოს იდენტური, იმისათვის რომ *actus reus*-იც იყოს ერთი და იგივე? ეროვნული მართლწესრიგებით სხვადასხვაგვარადაა გადაწყვეტილი ეს საკითხი. თუმცა არც ერთი ასეთი გადაწყვეტა არ გამოდგება მე-7 ოქმის მე-4 მუხლის განმარტებისათვის. სწორედ სასამართლომ უნდა მიანიჭოს სიტყვა „დანაშაულს“ ავტონომიური მნიშვნელობა აღნიშნული დებულების ფარგლებში, ამავე დებულების შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით. მიზანი ისაა, რომ „არ იქნეს გადასინჯული ბრალდებულის ბედი“⁴, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი და იმავე შემთხვევის გამო იგი ერთზე მეტად არ უნდა დაექვემდებაროს სისხლის სამართლის წარმოებასთან თუ მსჯავრის დადებასთან და სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

სასამართლოს მიერ Gradinger-ის საქმეში შემუშვებული მიდგომა შესაბამისობაში მოდის სამართლებრივი სიცხადის საჭიროებასთან. სასამართლომ ცალსახად გამორიცხა იურიდიული კვალიფიკაციის იგივეობა როგორც მე-7 ოქმის მე-4 მუხლის გაგებით „დანაშაულის“ განსაზღვრის კრიტერიუმში და მიუთითა: „სასამართლო სრულად აცნობიერებს, რომ განსახილველი ნორმები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მარტო შესაბამისი დარღვევების აღწერით, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი ბუნებითა და მიზანდასახულობითაც. გარდა ამისა, სასამართლო შენიშნავს, რომ საგზაო მოძრაობის შესახებ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული დარღვევა წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 81.2 მუხლით დასჯადი დანაშაულის მხოლოდ ერთ ასპექტს. მიუხედავად ამისა, ორივე გასაჩივრებული

⁴ R. Merle and A. Vitu: *Traité de droit criminel. Procédure pénale*, Cujas, 4th ed., 1989, s. 878.

გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ერთსა და იმავე ქმედებას.⁵ შესაბამისად, ეჭვგარეშეა, რომ *actus reus*-ის და კონკრეტულად ქმედების იგივეობა მიიჩნია სასამართლომ მე-7 ოქმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული „დანაშაულის“ იდენტიფიცირების კრიტერიუმად. მე სრულად ვეთანხმები სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საქმეში. ეს ხელს უშლის, რომ მკაფოდ განსაზღვრული *actus reus*-ი არ განხორციელდეს მისი სპეციფიური ასპექტების შენაცვლებით და ერთი და იგივე პირი ერთზე მეტად იყოს დასჯილი ერთი და იმავე შემთხვევის გამო განსხვავებული იურიდიული კვალიფიკაციების საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, წინამდებარე საქმეში სასამართლომ სრულიად საპირისპირო გადაწყვეტის გზა არჩია და იურიდიული კვალიფიკაცია მიიჩნია „დანაშაულის“ იგივეობის დადგენის კრიტერიუმად. „ერთი კრიმინალური ქმედების“ განსხვავებული იურიდიული კვალიფიკაცია საკმარისი აღმოჩნდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული *non bi in idem* გარანტიის გამორიცხვისათვის.

თუმცა, გრადინგერისა და ოლივეირას საქმეებს შორის არ არსებობს არანაირი განსხვავება, რაც გამართლებდა ამ ორი სრულიად შეუთავსებელი გადაწყვეტილების არსებობას. ქმედება, რომლის გამოც დევნა დაიწყო, ორივე საქმეში იყო იდენტური. ორივე საქმეში, სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომის გამო, როცა პირველად დაედო მსჯავრი ბრალდებულს, მსჯავრდებისას არ იქნა გათვალისწინებული *actus*-ის ერთი-ერთი ნიშანი. დაბოლოს, ორივე საქმეში განმეორებითი მსჯავრდების საფუძველი გახდა განსხვავებული კვალიფიკაცია ერთი და იმავე ქმედებისა, რომლის დამამძიმებელი კონკრეტული ასპექტიც მხედველობიდან გამორჩა პირველ სასამართლოს.

იმის მიუხედავად, პირველი მსჯავრდებისას ბრალდებულის წინააღმდეგ მიმართული საქმის ყველა გარემოების არ, ან ვერ გათვალისწინება, იყო ფაქტების მცდარი შეფასებისა თუ პოლიციის მაგისტრატის დაუდევრობის შედეგი, მსგავსი გაურკვევლობა სასამართლო პრაქტიკაში დაუშვებელია. კონვენციის მე-7 ოქმის მე-4 მუხლის თანახმად სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა შეიძლება არ იყოს იმდენად აქტუალური (არსებითი, მნიშვნელოვანი, რელევანტური) , ვიდრე ფაქტების მცდარი შეფასება.

სწორედ ამ მიზეზების გამო, მხარი დაუჭირე დასკვნას, რომ ადგილი ჰქონდა მე-7 ოქმის მე-4 მუხლის დარღვევას.

⁵ იხ. გადაწყვეტილება „გრადინგერი ავსტრიის წინააღმდეგ“, 1995 წლის 23 ოქტომბერი, Series A no. 328-C, p. 66, § 55.